№ 146 ივლისი 13, ოთხშაბათი 1888 ივლისი 13, ოთხშაბათი № 146


**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეველის სავაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888



გაზეთი „ივერია" პირველ ივლისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მან.

გამოვიდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

**მამიდა ასმათი**

მოთხრობა

გ. წერეთლისა.

გამოცემული „ივერიის" რედაქციის მიერ.

ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.


ტფილისი, 12 ივლისი

დღეს უცხოეთისა და რუსეთის მწერლობა სულ იმაზე ლაპარაკობს და ბაასობს, თუ რა შედეგი მოჰყვება რუსეთისა და გერმანიის დაახლოვებას. ყველანი ერთ ხმად დაღადებენ, რომ ამ სახელმწიფოთა მეგობრობის განმტკიცება ევროპის მშვიდობიანობის საბუთიაო. რუსული გაზეთები დაბეჯითებით არაფერს სწერენ მასზე, თუ რაზე ჰქონდათ მოლაპარაკება და თათბირი რუსეთისა და გერმანიის იმპერატორებს, მაგრამ ის გულითადი მასპინძლობა, რომელიც ვილჰელმს გაუწიეს რუსეთში, ჰმოწმობს, რომ ორმა სახელმწიფომ ერთმანეთს ხელი გაუწვდინეს და საქვეყნოდ აღიარეს, რომ მშვიდობიანობის მსურველნი ვართო. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ომიანობის მსურველი, თუ რომ სისხლის ღვრის თავიდგან აცილება შესაძლებელია, დღეს არავინ არის. ამიტომაც ყველანი მოწადინებულნი არიან, თუ შესაძლოა, კაცობრიობას აცილონ ის დიდი უბედურება, რომელშიაც უნდა შთაინთქას რამდენიმე ასი ათასი კაცი, აუარებელი ფული და სხვა სიმდიდრე, დიდის შრომითა და ვაებით მოპოვებული. აი დღეს ამ აზრით და მიხედვით ხელმწიფეები სცდილობენ როგორმე თავიდგან აიცილონ მოსალოდნელი ომიანობა, რომელიც ეს რამდენიმე წელიწადია მოსვენებას არ აძლევს კაცობრიობას, სჩაგრავს ვაჭრობას, მრეწველობას, სწავლა განათლებას, ესე იგი ყოველსავე, რაზედაც დამყარებული და დამოკიდებულია ერთა და სახელმწიფოთა კეთილდღეობა და წარმატება. აღბად ამ განზრახვით ესტუმრა გერმანიის იმპერატორი რუსეთისას და შემდეგ განზრახვა აქვს ინახულოს ფრანც-იოსები ავსტრიისა, მეფე ჰუმბერტი იტალიისა და მეფეები დანიისა და შვეციისა... ახალს იმპერატორს გერმანიისას განზრახვა აქვს, რამდენადაც შესაძლო იქნება, გააგრძელოს მეგობრობა ამ სახელმწიფოებთან, თუ რომ გზაზე არ გადაეღობა რომელიმე პოლიტიკური საბუთი და მიზეზი, რომლის თავიდგან აცილება არ ძალ-უძსთ ძლიერთა ამა სოფლისათა. ადამიანს, რაც უნდა ბევრი ეცადოს, რაც უნდა გამჭრიახობა და შორს-მხედველობა გამოიჩინოს, არ ძალ-უძს წინდაწინვე მოისაზროს ყოველივე გარემოება, ყველა ისტორიული საბუთი, რომლებიც ასე თუ ისე მოქმედებენ ერთა ცხოვრებასა და განწყობილებაში. რაც უნდა იყოს, მეცადინეობა მშვიდობიანობის დასაცველად, თუ კი ეს მეცადინეობა გულ-წრფელი და პირუთვნელია, ყურადღებისა და თანაგრძნობის ღირსია, თუნდაც ნამდვილად ვიცოდეთ, რომ იგი უძლურია მშვიდობიანობა დაამკვიდროს...

ერთს გარემოებას-კი აშკარად გვიხატავს დღევანდელის პოლიტიკის მიმდინარეობა. იმპერატორი ვილჰელმი მოწადინებულია ყველა ძლიერ სახელმწიფოთა გული მოიგოს, გარდა საფრანგეთისა, რომელთანაც გერმანიას ყოვლად შეუძლებელად მიაჩნია მეგობრულის განწყობილების ჩამოგდება და განმტკიცება. რუსეთთან, ავსტრიასთან და იტალიასთან გერმანიის დაახლოვებას ის უნდა მოჰყვეს, რომ საფრანგეთი უმწეოდ დარჩეს პოლიტიკის სარბიელზე. შეუძლებელია ვიფიქროთ, ვითომ გერმანიას იმედი ჰქონდეს სრულიად დაარღვიოს საფრანგეთი და ხელი აიღებინოს იმ აზრზე, რომელიც გრძნობასა და გონებაში გასჯდომია. ერთი-და არის საფიქრებელი, როგორც წარსულს წერილშივე ვსთქვით, რომ, თუ საქმე ომზე მიდგა, გერმანია და საფრანგეთი მარტო-დ-მარტო უნდა შეეჭიდნონ ერთმანეთს. ვინ გაიმარჯვებს, ვინ შეისრულებს თავისის გულის საწადელს, არავინ იცის, მხოლოდ ის-კი ცხადია, რომ ერთისა ან მეორის დამარცხება, თუ გამარჯვება სრულიად შესცვლის საპოლიტიკო საქმეთა მსვლელობას. საფრანგეთის გამარჯვება ძირს დასცემს ძველს რეჟიმს, რომლის წარმომადგენელიც დღეს გერმანიაა... გერმანიის გამარჯვება-კი დიდის ხნით მაინც ბოლოს მოუღებს ძლიერსა და დაწინაურებულს ერს საფრანგეთისას და, მაშასადამე, კაცობრიობას გამოაკლებს ერთს ლამპარს განათლებისას. გერმანიას საფრანგეთის დამარცხება ერთი-ათად კიდევ უფრო მტკიცედ დაუმკვიდრებს ევროპის მეთაურობას და საშუალებას მისცემს სხვებს გაუსწოროს ძველი ანგარიში..

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** ამ ორიოდე დღის წინად, მიხეილის ქუჩაზე, ჩითახოვის სახლში, ცოფიანი ძაღლი შევარდა, მივარდა იქვე მწოლიარე მონადირე ძაღლს და დაჰგლიჯა, მერე გამობრუნდა და ერთი დედაკაცი დაჰკბინა. შიმისაგან ეს დედაკაცი ძალიან ავად გამხდარა.

*** საშინელის სიცხეების შემდეგ ეს ორი სამი დღეა ტფილისში აგრილდა. ახლო-მახლო სოფლებში დიდი წვიმები ყოფილა და ზოგგან სეტყვაც.

*** ამ ჟამად ტფილისში აუარებელი ხილი შემოდის სხვა-და-სხვა ადგილებიდგან, მაგრამ რიგიანს ხილს მაინც იშვიათად იშოვის კაცი და, თუ იშოვა, მამა-სისხლად ფასობს. სამაგიეროდ დამპალი და რამდენისამე დღის ნაყარი ხილი ძალიან ადვილად საღდება. არ იქნებოდა ურიგო, რომ ყურადღება მიექციათ ამ გარემოებისათვის, რადგანაც ჩვენი მუშა და დაბალი ხალხი ძალიან ეტანება ამ ხილს, და იმით თავიდგან აეცილებინათ სხვა-და სხვა ავადმყოფობა.

*** საზოგადოდ ტფილისი ვერ არის მაინცა და მაინც სუფთა ქალაქი. ქუჩებს, სახელდობრ, ეზოებს მოშეტებულს ნაწილად ცუდად ინახავენ და ეს მეტად საგრძნობელია ზაფხულობით. ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ რამდენსამე მაგალითს: მთაწმინდაში, ხევის ვიწრო ქუჩაზე, ზოგიერთ ეზოებიდგან გამოაქვსთ ჭურჭლისა და სარეცხის ნარეცხი საპნის წყალი და ჰღვრიან ქუჩაში. მოსკოვის „ბალკაში" კიდევ (მთის ძირში) მოსარეცხები დგანან, რომელნიც აგრეთვე სარეცხის წყალსა და ათასს ბინძურობას ჰღვრიან ქუჩაშივე და ეს ტლაპო ემატება იმ წყაროს, რომელიც „მოსკოვის" ქუჩაზე მოდის და „ოლგას" ქუჩის ქვეშ გაყვანილს არხში ჩადის. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რანაირად უნდა იწამლებოდეს ჰაერი ამ სიცხეების დროს; ამას გარდა, ამ ქუჩებს რომ ჰგვიან, ნაგავს ალაგ-ალაგ აგროვებენ, ქარი უბერავს და დგება საშინელი კორიანტელი. მცხოვრებ-

## ფელეტონი

### ბნელი

(მოთხრობა)

VI*)

ოსტატთან

სოფელში აბრია დიაკვანს „ძრიან მწავლული" ცოლი ჰყვანდა. თუ როგორი „მწავლული" იყო დიაკვნის ცოლი ანასტასია, იქიდამ სჩანს, რომ, როდესაც აბრია, წიგნების კითხვის დროს, ან შეფერხდებოდა, ან ტყუილს გაურევდა და მღვდელი ამაზედ დაუყვირებდა, იქ მყოფნი დაიწყებდნენ ხოლმე: „ვაჰ, სად არი ეხლა შენი ცოლი, რო სიჩქაროზე არ გადაბულბულებს!" ბევრჯელაც შელაპარაკებულან და წამოუყენებიათ მრავალი საბუთები, იმისი სწავლის დამამტკიცებელი; მხოლოდ მაშინ-ღა გაჩუმებულან, როცა გასჯავრებიან. მართლაც-და როგორ არ უნდა ეწოდნათ ანასტასიასათვის „მწავლული", როდესაც მთელის სოფლის მანდილოსანთა მკითხველ-მწერალი ის იყო. მანდილოსანთაგან, რასაკვირველია, მამაკაცთაც ჰქონდათ გაგებული და, როცა დასჭირდებოდათ თამასუქებისა, ან სხვისა რისამე წაკითხვა და წამკითხველი ან არავინა ჰყვანდათ, ან ისეთი ვინმე შეხვდებოდათ, რომელიც თავსა და ბოლოს ვერ გააგებინებდა, იტყოდნენ ხოლმე: „მა ტა ერთი, იგრევ ტასიას წაუღო, თორე!.. იგრე გადამიკითხოს, როგორც ლევდელი. მეტიმეტი ჰწაველისაგან სუ თავს იქნევს!"

არც უნდა ყოფილიყო ანასტასია უცოდინარი. იგი იყო მღვდლის ქალი—ყველა შვილებზე უმცროსი როგორც კოჭანდარი, იგი ძრიელ საყვარელი და ნებიერი იყო დედ მამისა და ყოველი სიკეთე მისთვის ემეტებოდათ. რაც იცოდა და არ იცოდა, დედამ ყოველიფერი გადასცა ანასტასიას. წიგნის სწავლებაში-კი მამაც იღებდა მონაწილეობას, ასე რომ ხუცურიც-კი ასწავლა, პირდაპირ სამოციქულოში, და რამდენჯერმე წააკითხა ეკკლესიაში სამოციქულო საუფლო დღესასწაულებში.

არც აბრია იყო მდარე კაცის შვილი. აბრიაც მღვდლისა და დიდის ოჯახის შვილი იყო. როგორც სხვა ძმებს, ისე აბრიასაც, დედ-მამის დაუდევრობით, არ გაჰღებია სასწავლებლის კარები. იმისმა ძმებმა, ზოგმა მონასტერში, ზოგმა კერძოდ მღვდლებთან, ისწავლეს საეკკლესიო წიგნების კითხვა და წესები და კიდეც იშოვნეს ზოგმა დიაჩოქობა, ზოგმა მთავარდიაკვნობა; აბრია-კი დარჩა ამასაც მოკლებული. სოფელ *-ს გზირი ამავე სოფლის მცხოვრებელი იყო და სცდილობდა თავისი წინა მოადგილის შთამომავლობა ისე გეენადგურებინა, რომ ადგილის შემცილებელი აღარავინა ჰყოლოდა. ამისათვის არამც თუ ხელს უმართავდა აბრიას, ყოველს ღონის-ძიებასა ხმარობდა, რომ აბრია სასულიერო წოდებიდგან გამოერიცხათ და გლეხ-კაცად დარჩენილიყო. დასანიშნი იყო აბრია, როცა ანბანაც-კი არ იცოდა და სახლი კაცების ჯიბრობით ძროხაში, გუთანზე და ურემზე დადიოდა. იქნება სულაც „ტყე-მინდვრის" კაცად დარჩენილიყო, რომ აქეთ-იქიდამ არ ეთქვათ: „თუ დიაჩოქობა არ იშოვნე, სასულიერო წოდებიდამ გამოგრიცხამენ და ხარჯს შაგაწერენო". ამ გარემოებამ ძრიელ შეაფუცხუნა აბრია. ზოგიერთის მადლიანის კაცის შემწეობით ისწავლა ხუცური ანბანა და მას აქეთ დავითნი არ მოუშორებია; ხან ჯიბით, ხან გულით ატარებდა თან და თავისუფალს დროს კითხულობდა. ისწავლა ისე, რომ ბოლოჩინმა დაამტკიცებინა აბრია თავისავე სოფელში დიაჩოქობის თანამდებობაზედ და მიათხოვა ობლად დარჩენილი, თავისი დეიდაშვილი ანასტასია.

აბრიაც და აბრიას ძმებიც გაუყრელები იყვნენ თავის ერის კაც ბიძაშვილებთან. მხოლოდ აბრიას ძმები თავიანთის ცოლ-შვილით სცხოვრობდნენ იქ, სადაც მსახურობდნენ; აბრია-კი თავის ბიძაშვილებთან ერთად სცხოვრობდა. ოჯახი რძალთა მრავალი იყო. ყველა რძლები, ანასტასიას გარდა, გლეხ-კაცის შვილები იყვნენ და ამისთვის ანასტასია ირჩეოდა იმათგან თავისის ხასიათითა და ზნე-ჩვეულებით. ანასტასიას ახსოვდა თავისი ვინაობა და ყოველთვის სცდილობდა და არ დაუმცირებინა არც თავისი შთამომავლობა და არც კაცის ცოლობა; ბავშვებსაც-კი აგრძნობინებდა თავისის ქცევით, ვინც იყო. ანასტასიას ქცევა არ მოსწონდათ დანარჩენ რძლებს, მით უფრო, რომ ბევრს საქმეში, მაგალითად, პურის ცხობაში, წყლის მოტანაში, სამარგელში და სხვა „სათაკილო" საქმეში იმათთან არ ეწეოდა უღელს. იმისი საქმე იყო ჭურჭლის დარეცხა, თონეზედ თვალის დაჭერა, როცა სხვა რძლები პურს აცხობდნენ, და ტაბკით პურის შეზიდვა. როდესაც კი უიმისოდ შეიყრებოდნენ ერთად რძლები, მოჰყვებოდნენ ხოლმე ტუჩების აპრუკვით იმის ჭორვა-კილვას.

— ი ჩვენი პეწენიკი (ასე უწოდებდნენ ანასტასიას) სადა ბძანდება? იკითხავდა ერთი.

— რა ვიცი, ქა, ძრიან-კი ყვიტყვიტებს-და; იტყვი, მაგისი მოახლე იყოს ვინმე! ჩამოართმევდა მეორე.

— ი, მეხი კი დავაყარე მაგი თავსა და ჩავტიტე! რაო ახლა, ვინ არი მაგაზე ნაკლები, ან კაციშვილი და ან კაცი ცოლი? აქა-და მეო და დიაკვნი ცოლი ვარო, თავზე ბუზს არ ისვამს! დაუმატებდა მესამე.

— რა ვიცი, ქა, უწინ ღვდლი ცოლებიც არა დიდობდნენ ემაგრე! იტყოდა მეოთხე.

— თუ დაარღვევს ჩვენ ოჯახს, ევ დაარღვევს! დაასკვნიდა მეხუთე. ბევრს სხვას უწმაწურობასაც ლაპარაკობდნენ ხოლმე ტასიაზედ.

უფრო იმაზედ მოსდიოდათ რძლებს ჯავრი, რომ ანასტასია არა სცხოვრობდა საზოგადო სახლში—რძლებთან ერთად. ის სცხოვრობდა ცალკე—მარანში. რამდენადაც ძლიერდებოდა ანასტასიას მიმართ რძლების სიძულვილი, იმდენად თვით ტასია მაღლდებოდა გარეშე ხალხის თვალში. ყველა ანასტასიას ამართლებდა, ყველა იმას ამბობდა, რომ ტასიას ღირსნი

*) იხ. „ივერია" №№ 141, 142, 143 და 145.

ლები შემოგვჩვიან, სიცხისაგან სახლებში ვიჩხობით და მტვრისა და საძაგელის სუნის გამო ფანჯარა ვერ გაგვიღიაო. პოლიციასაც რამდენჯერმე შევჩივლეთ, მაგრამ ჯერაც ყურადღება არავის მოუქცევიაო.

*** მოსკოვის საიმპერატორო თეატრის არტისტების კრებულმა კვირას წარმოადგინა სუვორინისა და ბურენინის ტრაგედია „მედეა". საზოგადოდ ეს პიესა შინაარსითაც საინტერესოა და კარგის ენითაც არის დაწერილი. განსაკუთრებით კარგად თამაშობდა გამოჩენილი ფედოტოვისა. ჩვენს საზოგადოებას იშვიათად უნახავს ამ გვარი ხელოვნური თამაში. ფედოტოვისა ისე გულიანადა და გრძნობით თამაშობდა, რომ ზოგს დამსწრე მანდილოსნებს გული შეუწუხდათ.

ორშაბათს იმავე კრებულმა წარმოადგინა გ. ნ. ფედოტოვის საბენეფისოდ ოსტროვსკის კომედია „უდანაშაულოდ დამნაშავენი". არტისტს ქალს საზოგადოება დიდის ამბით მიეგება. წარმოდგენის შემდეგ მთელი სცენა ყვავილებითა და თაიგულებით აავსო საზოგადოებამ.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთი ახალგაზდა ამ ჟამად შესდგომია მაჰმადიანთა სჯულის წიგნის „ყორანის" თარგმნას ქართულს ენაზე.

*** კვირას, 9 ივლისს, ვასილიევის ბაღში ვიღაც სცენის მოყვარეებმა აკაკი წერეთლის „კინტო" წარმოადგინეს. დამსწრე საზოგადოება, სულ ოციოდე კაცი, ძალიან უკმაყოფილოდ დარჩა, რადგანაც წარმოდგენა წარმოდგენას-კი არა ჰგვანდა, არამედ რაღაც პამპულობა და მაიმუნობა იყო. ნეტავი ვინ არიან ეს ვაჟბატონები, რომლებიც სცენის მოყვარეობასა კისრულობენ და თან ავტორებსაც არ ეკითხებიან?!

*** როგორც შევიტყეთ, კვირას აპირობენ სცენის მოყვარენი წარმოდგენის გამართვას სურამში წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი არტისტები: ვ. აბაშიძე და კოტე ყიფიანი.

*** სოფ. კარდენახი: ამ ბოლო ხანებში აქ ძლიერ გავრცელდა ქურდობა და ავაზაკობა. ისე ღამე არ გაივლის, რომ ან მარანი არ გატეხონ, ან ცხენი და საქონელი არ მოიპარონ. სულ ერთი თვე არ იქნება მას აქეთ, რაც სოფ. ანაგაში გასტეხეს საპნის ქარხანა და საპონი იმავე ღამეს წაიღეს სოფ. კარდენახის ერთს დუქანში. ამ დროს ქურდებს თავს წაადგნენ ყარაულები. საპონი იქვე დააყრევინეს, მაგრამ ქურდები-კი გაიქცნენ. შეიქნა დიდი აყალმაყალი და სახლებიდგან გამოიყვანეს სამი ნამძინარევი ბიჭი, ვითომ-და საპნის ქურდნი. იქნება ასეც იყოს, მაგრამ, ვგონებთ, უპირველესად ის მედუქნე უნდა შეეპყრათ; ალბად იმან იცის, ვინ არის ქურდი, რადგანაც უცნობი კაცი ნაპარავის საქონლით კაცს არ მიადგებოდა. ის სამი ბიჭი დაატუსაღეს და გამომძიებელს გადასცეს. ამას არ დაჯერეს. მამასახლისმა შეჰკრიბა ხალხი და ურჩია, განაჩენი შევადგინოთ და ვითხოვოთ ამ სამის ბიჭის გადასახლებაო. ხალხმა ეს საშუალება არ მოიწონა და ბევრიც იყაყანა, მაგრამ ვერას გახდა. როგორც იყო დააჩუმეს და იმ ბიჭების გადასახლების შესახებ შედგენილს განაჩენზე ხელი მოაწერინეს. ამასთან უნდა მოგახსენოთ, რომ კარდენახში რვა ასი კომლი კაცია, რომელთაგან ოცმა თუ იცის ხელის მოწერა, ისიც კარგია.

ზედ დატანებით, ერთს ღამეს, ერთს გლეხს კაცს ქურდებმა აუხადეს ქვევრი. ქურდებს ღვინით სავსე ტიკები იქვე წაართვეს. ეს ვაჟბატონები ერთს დღეს გომში ჰყავდათ დამწყვდეული, შემდეგ გამოუშვეს და სრულიად განათავისუფლეს, არ ვიცით-კი რა მიზეზით.

ამ ცოტას ხანში აქ მოელიან მაზრის უფროსს და მომრიგებელ მოსამართლის შუამავალს. ვნახოთ, როგორ იმუშავებს ამ სამის ბიჭის ბედი.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

დ. სოჩა, 6 ივლისს. მგონი საინტერესო უნდა იყოს მკითხველ საზოგადოებისათვის შეიტყოს რამე იმ ქართველებზე, რომლებმაც ამ ოთხი-ხუთის წლის წინად დასტოვეს თავის მამა-პაპეული მიწა-წყალი და გარდასახლდნენ ჩრდილოეთ კავკასიის შავის ზღვის ნაპირებზე. მით უფრო საინტერესო უნდა იყოს ეს, რომ, თუ არა ვსცდებით, ჩვენს მწერლობაში არა თქმულა რა იმათის ვითარებაზე, ყოფა-ცხოვრებაზე, და ეს ხომ საზოგადოდ დაუდევრობის ნიშანია.

როგორც ვიცით, ამ რამდენისამე წლის წინად ქართველებმა დაიწყეს გარდასახლება შავის ზღვის ოლქში (черноморскій округъ). ეს ოლქი განიყოფება სამ ნაწილად, ესე იგი სამზრუნველოდ: ნოვოროსიისის, ველიამინოვისა და სოჩისა. ამ თვითოეულს სამზრუნველოში, ან, უკეთ ვსთქვათ, მაზრაში არის მაზრის მზრუნველი. ეს სახელი იმისთვის აქვთ მითვისებული ამ მაზრის უფროსებს, რომ ვალდებულნი არიან იზრუნონ ცარიელ ადგილების დასახლებისათვის. ქართველებს ამოურჩევიათ ადგილი თავის დასასახლებლად სოჩის სამზრუნველოში. ეს ადგილი თვითონ დაბა სოჩიდგან 12 ვერსზეა. ადგილი სულ ერთიანად მთა-გორიანია. ამ მთა-გორიანს ადგილს შუა ჩამოუდის კარგა დიდი მდინარე და კაკა ადგილებს ძვირად შეხვდებით. თვით ქართველებს-კი მოსწონთ ეს ადგილი და თუ სადმე კაკა ადგილებია, იქაც არ ესახლებიან, უფრო მაღალ ადგილებს ირჩევენ. რომ ჰკითხოთ ამისი მიზეზი, გეტყვიან, რომ ცივებისა გვეშინიანო. ამას თავისი საბუთი და მიზეზი აქვს. ისინი გადმოსახლებულან რაჭა-ლეჩხუმიდგან, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, ამ გვარივე მთიანი ადგილია და რასაც, რასაკვირველია, მცირედგანვე მიჩვეულა, რაც შეუთვისებია ადამიანს, ის უფრო მოსწონს და იმისი აგებულობაც უფრო იტანს. ახლა ამ მხარეშიაც ის წეს-წყობილება შემოდის, რომელიც ყველგან არსებობს, მაზრის მზრუნველის მაგივრად მაზრის უფროსი ინიშნება.

ეს რომ არ იყოს, იმ დროს, როდესაც ისინი აქ გადმოესახლნენ, შეეძლოთ კაკა და უკეთესი ადგილი ამოერჩიათ. ამ ქართველებით დასახლებულს სოფელს ეძახიან პლასტუნკას. ამ გვარი სახელ-წოდება სოფლისა წარმომდგარა იქიდგან, რომ აქ არეულობის დროს მშვიდობიანობის დასაცველად პლასტუნების პოლკი მდგარა. სოფელი პლასტუნკა მარტო ქართველებით არის დასახლებული. ამათი რიცხვი სამოც-დაათ კომლზე მეტია. ახლაც დრო-გამოშვებით მოდიან დასასახლებლად ამ სოფელში ქართველები. ადგილი თუმცა მთა-გორიანია, მაგრამ საკმაოდ ნაყოფიერია, ასე რომ თუმცა წარსულს 1887 წელს დიდი გვალვა იყო აქ, მაგრამ მაინც მოსავალი საკმაოდ მოუვიდათ. საზოგადოდ ჩვენს ქართველებს აქ დიდად მუყაით ხალხად სთვლიან. ამათი შრომის მოყვარეობა აკვირვებს ამ მხარეში დასახლებულს სხვა-და-სხვა ტომის ხალხს. გერმანელები და რუსები სახლობენ ამ მხარეში აგერ 18—19 წელიწადია, მაგრამ უფრო ღარიბად სცხოვრობენ, ვინემ ქართველები, რომლებიც ოთხი წელიწადია, რაც აქა სახლობენ.

1887 წელს ქართველებმა თავიანთი ხარჯით ააგეს ხის ეკკლესია, რომელიც უკვე ნაკურთხია, და თხოულობენ საკუთარს მღვდელსაც, მაგრამ არ მოხერხდა, რადგანაც ორასი მანეთი, რომელსაც სოფელი წელიწადში ჰპირდებოდა, მღვდელს ვერ აცხოვრებსო. ამიტომ ეს სოფელი აქამდისინ მიწერილია სოჩის სამრეკლოზე. გზა სოჩიდან ამ სოფლამდე მალიან ცუდია; სანამდის სოფელში მიხვიდოდეთ, ხუთჯერ უნდა გახვიდეთ მდ. სოჩას, რომელიც ამ სოფლის შუა ჩამოდის. ამ მიზეზით წყალ-დიდობის დროს ეს გზა შეკრულია და სოფლელები, რასაკვირველია, ამის გამო დიდს გაჭირვებაში არიან. მდინარე თუმცა დიდი არ არის, მაგრამ ჩქარა და უცებ იცის მომატება. ამ რამდენისამე დღის წინად აქაურს მცხოვრებს, გვარად ალავიძეს, უცებ მოასწრო წყალმა და დაარჩო. მართალია, ამ ორის წლის წინად მთავრობამ გაუკეთა სოფელს მოსავლელი გზა, მაგრამ გზა იმისთანა სახიფათოა, რომ რაც უნდა ადიდებული იყოს მდინარე, ქვედა გზით ირჩევთ წასვლას, ვინემ მოსავლელით. მიზეზი მოსავლელის გზის უვარგისობისა არის შემდეგი: სოფელი პლასტუნკა მდინარის ორსავე გვერდზეა გაშლილი და სადაც სოფელი თავდება, იქ ორისავე მხრის მთები ერთმანეთს ისე უახლოვდება, რომ მარტო მდინარე მლივს ეტევა ამ ვიწროებში; ამისათვის წყალ-დიდობის დროს აქ გასავალი ადგილი არა რჩება და მდინარეზე გასვლა შეუძლებელია. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში მოგზაური ირჩევს მოსავლელს გზას, მაგრამ კაი ამისთანა ამორჩევას, რომ ყოველს წამს უნდა ჰფიქრობდეს და შიშობდეს არა თუ ცხენისათვის, არამედ თავისათვისაც. ეს გზა არის გაკვანილი კლდის გვერდზე და ერთის ფეხის გაუფრთხილებელი გადადგმა, ერთის ქვის გადმოვარდნა ზემოდან ან კიდევ ხის ჩამოქცევა და დაღუპვა ერთი იქნება. ამის მაგალითიც ყოფილა. სოფლიდგან დ. სოჩაში ერთი ქართველი მოდიოდა ცხენით და გაუფრთხილებლობით ცხენი გადაუვარდა და დაეღუპა. კიდევ კარგი, რომ ცხენს თვითონაც არ გადაჰყვა და რაღაც საწყაულ-მოქმედებით სიკვდილს გადურჩა. ახლა იმით უფრო საშიშია, რომ ბევრს ადგილს მიწა ჩამოწოლილა, ხიდები არც ერთი არ კარგა და ამისთანა საშიშ ადგილში ჩამოწოლილ მიწის გორას ვიწ-

---

არ არიანო, იმისი ფასი არ იციანო. ამ შემთხვევაში ანასტასიას დიდათა შველოდა ის გარემოება, რომ წერა-კითხვა იცოდა და ამით დავალიანებული ჰყავნდა ხალხი. წერა-კითხვავე იყო იმის მიზეზი, რომ ყველა, ვისაც-კი მოეყრებოდა ქალი გასათხოვრად, ანასტასიასთანა ჰგზავნიდა შეგირდად.

მართალი რომ ვსთქვათ, ანასტასია არ იყო ღირსი რძლების კიცხვისა. იმისი შეგირდები ოთხს იმდენს აკეთებდნენ, რაც იმას თავის წილად საქმე შეხვდებოდა. სხვაც არა იყოს რა, სოფელში ანდაზა იყო „ღვდლიანთ (თუმცა იმათ სახლში მღვდელი აღარ იყო, მაგრამ მაინც ისევ მღვდლიანთ ეძახოდნენ) ეზო-ყურეში ერბო აიკრიფებაო". რასაკვირველია, ეს სულ ანასტასიას შეგირდების უნარი იყო, ყოველ დილა საღამოს ჰგვიდნენ შინა და გარეთ, მთელს ეზოს. წყლის მოტანა, ცეცხლის ანთება შეგირდებზედ იყო მინაბარებული. გარდა ამისა, ყოველი რძალთაგანი, ნამეტნავად, ვისაც აკვანი ედგა, ისე დაასაქმებდა შეგირდებს, როგორც უნდოდა.

თავისი საცხოვრებელი ადგილი—მარანი ანასტასიას ყოველთვის სუფთად და მილაგებულ-მოლაგებული ჰქონდა, ტოპკირები და გოდრები ელაგა საწნახელში. მარჯვნივ კედელზედ, კაჩოებზე, იყო გაწყობილი სარცხები, მაწაწურები და ეკიდა ხაპირი და ყველიანი გოგრის ძაბრები; მარცხნივ ნახევარ ბაქანზე იყო გაშლილი ფარდაგი, ფარდაგის თავში მარცხენა კედლის ძირზე ელაგა აკეცილი ქვეშაგები. ძირს, ბაქნისა და კედლის კუთხეში, იდგა სკივრი; სკივრს ქვემოდ პატარა ხილის კიდობანი. სკივრსა და კიდობანს წინ იყო ხოლმე გაშლილი ნაბადი, რომელზედაც იჯდა ანასტასია საქმის დროს. იმას ქვემოდ სხდებოდნენ შეგირდები. მარჯვენა მხარეს-კი არ ეკარებოდნენ არც ანასტასია და არც შეგირდები, რადგანაც ბლომა ზედაშეები იყო.

ანასტასია ასწავლიდა წერა-კითხვასა და ხელ-საქმეს. შეგირდები ორ განყოფილებადა ჰყავდა ხოლმე განსაზღვრული. პირველს განყოფილებაში ირიცხებოდნენ გასათხოვარნი და სწავლობდნენ: „ანა-ბანას", „უფალოს" და „მამაო ჩვენოს"; ხელ-საქმიდამ: სახის შეკერვას და ჩახსაკრავის ქსოვას. მეორე განყოფილებაში ირიცხებოდნენ გათხოვილნი და სწავლობდნენ: „მოკითხვას" და სწერდნენ ნახშირით ბეჭზედ; ხელ-საქმიდამ: ჰქარგავდნენ ყაჯრებს და აკეთებდნენ გვირგვინებს. სწავლებაში ანასტასია არაფერს იღებდა ქალის პატრონისაგან, გარდა ძღვნებისა ყოველ ბედნიერ დღეებში და, როცა გათხოვილს ქალებს მოსაკითხი მოუვიდოდათ, მხოლოდ ჯვარის წერის წინ იღებდა სანეფოსაგან „საოსტატოს" ხუთ მანეთიდამ ვიდრე თუმნამდე.

ერთს დღეს, როცა შეგირდებმა მოიშორეს მოვალეობა სახლ-კარისადმი, მიუსხდნენ მარანში თავიანთს საქმეს. ამ დღეს მარტო შვიდი შეგირდი ქალი იყო. ორს მუხლებზედ „ანა-ბანა" ედო, ერთი მისჯდომოდა აკვანს და კალთაზე „უფალო" ედო. მეოთხე ქალს ედო წინ, ქარგაზე გაბმული, წითელი მაუდი და ყაჯარსა ჰკერავდა. დანარჩენს სამს გეებათ ძაფები და ჩახსაკრავსა ჰქსოვდნენ. ერთი აწყობდა, ორი უბეჭედა; ჩახსაკრავზედ იწერებოდა შემდეგი ლექსი:

„ვარ ჩახსაკრავი ლომისა,
მუდამ მსურველი ომისა:
უყვარს თვისი გამარჯვება,
და დამარცხება მტერისა".

ანასტასიამ ჯერ ერთს წააკითხა „ანბანი", მერე მეორეს. შემდეგ მიუახლოვდა აკვანთან მჯდომარეს და ამანაც დაიწყო: „უფაალო-უფალო იესოო-იესო ქარაისტეე-ქრისტე ღამეერთოო-ღმერთო!" ამ ნაირად წააკითხა ბოლომდის დანარჩენიც: „სწავლა კეთილათ მოუხდინე მხევალსა შენსა ეკატერინესა, რათა ისწავლოს წიგნი და წერა, და გაქოს და გადიდოს უკუნითი უკუნისამდე ამინ". ყაჯრის მკერავს დაუწყო ლონჯიანი კაცის სახე, ჩახსაკრავის მქსოვთ ასო „ლ" და თითონ გავიდა თონეზე, რადგანაც საცხობი ჰქონდათ. გასვლა ანასტასიასი და ჩახსაკრავის არევა ერთი იყო. ბევრი ეწვალნენ, ყაჯრის მკერავიც მიეშველა, მაგრამ ვერა გააწყეს-რა.

— იშ, ნეტავი მეც ეხლა ყაჯარსა ვკერამდე, ეგ ადვილია! წამოიძახა ჩახსაკრავის მქსოვმა-დამწყობმა, როცა დარწმუნდა, რომ ვერას უშველიდნენ წამხდარს საქმეს.

— შენ ადვილი გგონება! უპასუხა ყაჯრის მკერავმა.

— მა რატო შენც ჩემსავით მალმალე არ გერევა?

— იმისთვინ, რო მე დიდი ხანია შაგირდათა ვარ და ვიცი, შენ-კი გუშინ მოხველ. განა ეგრე მალე დაგაწყობინებდა ოსტატი ჩახსაკრავს, რო არ გეესინჯეთ რა! ესე მალე იმისთვინ დაგაწყობინა ჩახსაკრავი, რო მანამ ხელს დაგდებენ, გაათაო და ახლა ყაჯარი და გვირგვინები დაიწყო, რო ქორწილებამდინ მოაჰწრო.

— ნეტავი, შენი სიცოცხლითა და ბედნიერებით, მოჰხდეს და იგრე მალე შავკერო ყაჯარიცა და გვირგვინებიც რო!..

— იგრე შაქრჩეს ძმა, შენ ტყუილათა გგონია, რო ყაჯრის კერვა ადვილიაო!

— იცი, ქალო, მაგას რაზე ვამობ? მე ეხლა გული გულის ალაგას აღარა მაქვს და თავბედისაც არაფერი გამეგება. ი გულ-კვდრის შვილმა, ჩემი გულიცა და ჭკვაცა და გონებაც იმან წაიღო!

— იგრე იციან ბიჭებმა შენიჰთანა ქალებისა!

— რა ჩემიჰთანასი, შენ კი არა ჰყოფილხარ ამიჰთანა ცეცხლში?

— ყველას მაგიჰთანა წყალი დეესხმება ხოლმე, ჩემო მარო! მეც ისე გადამრია სოსიას ნახვამ, როგორც შენ ილას ნახვამ.

— არა, რო არ შაიძლება, ძე ადამიანს უყვარდეს ვინმე ისე, როგორც მე იმ გულ-კვდარმა—ნულარევე—ჩამიგდო გულში სიყვარული! ნეტავი ერთი დეგენახა, როცა თანა მღეროდა და თან უვლიდა წყალ-წყალა ჩიტივით,—სუ ჩლიქებზე დგებოდა. მემრე იგეთი გამოკანკლული იყო, რო, იტყვი, პეწენიკი თავადიშვილიაო! ნაბდი ქუდი გვერზე, კოხტათ, მეეგდო, ბუზმენტ-მოვლებული თავთის პერანგის გულის პირი წითლათ-კი ულალანებდა! იგეთი ჩოხა-შალვარი და ახალუხი ეცვა, რო ადამიანი ვერ გაძღებოდა ყურებით. ი ბედრიეთ პირზე კიდევ შუქი გადაჰდიოდა, იტყოდი ახალი ამოსული მთვარეაო. მემრე, რაც სახელი მე მიყვარს, ისა ჰქვიან.

— ჩემსასაც ისა ჰქვიან, რაც მე მიყვარდა.

— ნეტა ყველას ეგრე უცბად ეჭდება გულზე სიყვარული, როგორც მე უცბად მემდო?

რო ბილიკით უნდა მოუაროს, ან გაფუჭებულს ხიდზე უნდა გაიაროს, რომელიც გაყვანილია ამ თვალ-უწვდენელს კლდეზე. განსაკუთრებით საშიშია ამ გზით მოგზაურობა ზამთარში, ან ავდრიანობის დროს.

გზა რომ კარგი ჰქონდესთ, ეს გადმოსახლებული ქართველები ნივთიერად მალე წაიწევდნენ წინ. ახლა-კი რომ ჰქონდესთ რამე გასაყიდი, რად უნდათ, თუ სადმე ვერ წაიღებენ გასასყიდად. მაგალითად, აქ ისეთი სიძვირეა სიმინდისა და პურისა, რომ ფუთი სიმინდი მანეთად და ზოგჯერ ექვსს აბაზადაც იყიდება. მაშასადამე, დიდად სასარგებლო იქნებოდა, რომ გლეხმა ჩაიტანოს დ. სოხუმში რამდენიმე ფუთი და გაყიდოს ამ ფასად, მაგრამ გზის უქონლობა ხელს უშლის. ერთს აუცილებელს საჭიროებას ამ ქართველთათვის შეადგენს სკოლის დაარსება, მაგრამ თვითონ მცხოვრებთ ჯერ კარგად ვერ შეუგნიათ სკოლის მნიშვნელობა და სარგებლობა. კიდევაც რომ შეეგნოთ, ჯერ მაინც არ შეუძლიანთ სხვის დაუხმარებლად შეუდგნენ ამ საქმეს. ამაზე ჩვენ აქამდინაც უნდა გვეზრუნა, მაგრამ სიღარიბე და დაუდევრობა ყოველთვის და ყოველისფერში ხელს გვიშლის. ეს ჩვენი სიღარიბე და დაუდევრობა მაშინ უფრო გვეხირებათ თვალ-წინ, როდესაც ვხედავთ სხვა-და-სხვა ტომის საზოგადოებას, აქვე დასახლებულებს; მაგალითად, გერმანელებს, სომხებს და ბერძნებს თავიანთ თანამემამულეების დახმარებით დაუარსებიათ სკოლები, აუშენებიათ ეკკლესია, ჰყავთ თავ-თავიანთი მღვდელი, მაშინ—როდესაც აქ დასახლებული ქართველები-კი ვინ იცის რამდენს ხანს დარჩებიან უსკოლოდ, უმღვდლოდ. დასჭირდა, მაგალითად, აქაურს ქართველს მღვდელი, უნდა სოხუმში ირბინოს და სანამდის მღვდელი მოვიდოდეს, თავისი მაინც ემართებათ; თუ მდინარე ადიდებულია და მოსავლელი გზა გაფუჭებული, მაშინ მღვდლის მოწვევაზე ხომ არ უნდა იფიქროს. ავად გახდა ვინმე, საჭიროა ექიმის მოწვევა, მაგრამ, თუ ავდარია, ან მდინარე ადიდებული, იმედიც არ უნდა ჰქონდესთ, თუნდა აუცილებელი საჭიროებაც იყოს. გაუგზავნის აქაური სამზრუნველო კანცელარია რამე ქაღალდს, მამასახლისი უნდა სოხუმში ჩამოვიდეს, რომ ვისმე წააკითხოს. ხშირად კანცელარია ამის აცილებლად ქართულადა სთარგმნის მიწერილობას (ვაჭრების საშუალებით).

ამ ახლო ხანებში კიდევ ჩამოვიდა შორაპნის მაზრიდგან რამდენიმე მოსახლე და სთხოულობენ ადგილს ორმოცამდე კომლის დასასახლებლად. ჯერ დაბეჯითებით არ შემიძლიან ვსთქვა, მისცემენ თუ არა ნებას დასახლებისას მათ მიერ ამორჩეულს ადგილზე.

◆◆

## უცხოეთი

გერმანია. ბრიუსელის გაზეთი „Nord“-ი ლაპარაკობს გერმანიისა და რუსეთის იმპერატორების შეხვედრაზედ და ამბობს, რომ ვგონებთ ადრეული და წინასწარია ის მითქმა-მოთქმა, რომელიც ამ იმპერატორთა ერთმანეთის ნახვამ გამოიწვია ჟურნალებსა და გაზეთებშიო. რომ ამ შეხვედრას იმპერატორებისას საპოლიტიკო აზრი აქვს, ამას ამტკიცებს ის გარემოებაცა, რომ უდიდებულესთ სტუმარსაცა და მასპინძელსაც თანა ჰყავსთ სახელმწიფო კაცნიო. ეჭვი არ არის აგრეთვე, რომ იმპერატორები ლაპარაკს ჩამოაგდებენ ბოლგარიის გამწვავებულს საქმეზედ, რადგან ამ ჟამად სხვა გამწვავებული საქმე არა არის-რაო (?). ამიტომ მაინც ძნელად საფიქრებელია, რომ იმპერატორთა ლაპარაკმა გარდასწყვიტოს და დააბოლოვოს რითიმე ეს საქმე, რადგან რუსეთი არას დროს არ გადასთქვამს თავისს ერთი და ერთი გამოთქმულს აზრსა, რადგან ბოლგარიაში არავითარს სარგებლობას არ ეძებს(?)და მხოლოდ იმასა სთხოულობს, რომ საქმე ბოლგარიის ხელ-შეკრულობის თანახმადა სწარმოებდესო. რუსეთმა რომ ნება მისცეს და გზა აუხვიონ ამ შემთხვევაში ბერლინის ხელ-შეკრულობას, მაშინ სხვა სახელმწიფოებიც დაარღვევენ და თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენებენ. გერმანიის იმპერატორს მხოლოდ ის შეუძლიან, რომ დაიყოლიოს როგორმე ავსტრია-ვენგრია და სწორედ ასეც უნდა მოხდეს. უეჭველია, გერმანიის იმპერატორს რომ ავსტრიისა და იტალიის მეფეების ნახვა სწადიან, იმათთანაც ბოლგარიის საქმის დაბოლოვებაზე ექმნება ბაასიო.

ბერლინიდგან იწერებიან, რომ მართლდება ის ამბავი, ვითომ რუსეთიდგან დაბრუნებისას იმპერატორი ვილჰელმი სტოკჰოლმსა და კოპენჰაგენში შეივლისო. ამბობენ, რომ გერმანიასა სურს დანია და შვეცია დაიახლოვოს და გაიმეგობროსო.

„Vossische Zeitung“-ი ამბობს, რომ იმპერატორს ვილჰელმს განზრახვა აქვს ავსტრო-ვენგრიასა და რუსეთს შუამავლობა გაუწიოს ბოლგარიის საქმის გამოო.

ბოლგარია. გაზ. „Times“-ს დეპეშით აუწყებენ სოფიიდგან, რომ რადგან გრაფს კალნოკის და თავადს ბისმარკს ერთმანეთის ნახვა განუზრახავთ, აქაურმა უფროსმა ელჩმა ავსტრიისამ, ბურიანმა, წარუდგინა გრაფს კალნოკს ანგარიში ბოლგარიის საქმის გამოო. ამ ანგარიშში ბურიანი აცხადებს, რომ პრინცის კობურგელის საქმე ძალიან გაჭირებულია და ძნელად თუ დიდხანს შეიმაგროს თავი ბოლგარიაშიო.

სოფიიდგანვე აუწყებენ ვენის გაზეთებს, რომ პრინცის კობურგელის მდგომარეობა მეტად საშიში და საფრთხილოაო. აქ ჰფიქრობენ, რომ პრინცი უკანასკნელს საშუალებას იხმარებს, სტამბულოვს ძირს დაამხობს და უფლებას ქვეყნის მართვისას თითონ დაიჭერს ხელშიო. პრინცს მთელი თავისი იმედი დამყარებული აქვს მომავალს საერო კრების სესიაზედ და იმ აზრისაა, რომ უმეტესობა სტამბულოვის წინააღმდეგ იქნება და იძულებულს ჰყოფენ, რომ თანამდებობას თავი დაანებოსო.

რუმინია. ბუქარესტიდგანა სწერენ გაზ. „Neue Freie Presse“-ს, რომ რუმინიის მთავრობამ აღუკრძალა იქაურს სამღვდელოებას 900 წლის რუსეთის ნათლის ღებაში მონაწილეობის მიღება, რადგან ამ დღესასწაულს ზოგიერთი გაზეთები სხვა მნიშვნელობას აძლევენო. კორრესპონდენტის აზრით, ამ დღესასწაულზე ზოგნი ამბობენ, რომ იგი ქადაგებაა, ვითომ მთელმა მართლ-მადიდებლობამ რუსეთის ქვეშ მოიყაროს თავიო, და ასეთი ერთობა-კი სასურველი არ არის რუმინიის დამოუკიდებელის ეკკლესიისათვისაო.

◆◆

## წვრილი ამბები

ავტორს წერილისას, რომელიც „Dresd. Nachrichten“-ში იყო დაბეჭდილი და ნათქვამი იყო, რომ დროა ქალის პოლიტიკა მოვიშოროთ თავიდგანაო, თეოდორე რომანს, სასამართლომ ერთის თვით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტა, რადგან შეურაცხჰყო იმპერატრიცა ვიქტორიაო.

— საფრანგეთში მოდად შედის თურმე სახედრების მარულა. რადგან პარიჟში 12 სახედარზედ მეტი ვერ უპოვნიათ, წასულან პროვინციაში და მოუგროვებიათ 60-მდე სახედარი.

— პარიჟში დაუბეჭდიათ საფრანგეთში მომხდარ რევოლუციიდგან ასის წლის შესრულების სადღესასწაულოდ დიდი თხზულება იპოლიტო გოტიესი, რომელსაც ეწოდება „1789 წელი“—„L'an 1789“. ავტორს განუზრახავს ყველა ღირს-შესანიშნავი ამბავი აღნიშნოს ამ წლისა და რაც შეიძლება მართლად აღწეროს სოციალური და პოლიტიკური ცხოვრება საფრანგეთის ერისა.

— ამას წინად მისულა თუ არა გაშტეინში ავსტრო-ვენგრიის იმპერატორი ფრანც-იოსები, ერთს ქვრივს თხოვნა მიურთმევია და უთხოვნია 50 მანათი. საქმე იმაში გახლავსთ, რომ ამ რამდენისამე წლის წინად, დიდის ელვა-ჭექის დროს, ამ ქვრივს თავისს ქოხში შეუკრდომებია იმპერატორი ვილჰელმი, რომელიც იმ დღიდგან, მივიდოდა თუ არა გაშტეინში, ყოველ წლივ ამ ქვრივს ხუთს თუმანს აძლევდა. რადგან ეს ფული აცხოვრებდა, სხვათა შორის, საწყალს ქვრივს დედაკაცს, ამიტომ მიუმართავს ავსტრიის იმპერატორისათვის და სთხოვს, რომ ამ შემთხვევაში თქვენ იკისრეთ ვილჰელმის მემკვიდრეობა და თქვენ მაძლიეთ ხოლმე წელიწადში ხუთ-ხუთი თუმანიო. ქვრივის დედაკაცის თხოვნა შეუწყნარებიათ.

— ისე, როგორც მადრიდის სასახლეში, სხვაგან არსად არის თურმე წესი და რიგი დაცული და ამიტომაც ხშირად მოხდება ხოლმე ისპანიაში დიდი ლაპარაკი და ყაყანი სულ უბრალო საქმისა და შემთხვევის გამო. ამას წინად მეფე ალფონსს თავისის დეიდისა თუ მამიდისაგან მიუღია საჩუქრად საქანელა და დაუწყია ქანაობა. რადგან საქანელაზედ არასოდეს არა მჯდარა და ჩქარს ქანაობას შეუშინებია, უმაწვილს ტირილი მოურთავს. იქვე მსახური შესწრობია, მისულა და მეფე გადმოუსვამს საქანელიდგან. ობერ-გოფმეისტერს შეუტყვია თუ არა ეს ამბავი, მაშინვე დაუთხოვნია მსახური სამსახურიდგან იმ მიზეზით, რომ როგორ შეიძლი და მეფეს ხელი მიაკარე, რომლის ხელის ხლების უფლებაც მხოლოდ ლეიბ-გამერდინერსა და ბავშვის ძიძასა აქვსო. მსახურს დედოფლისათვის მიურთმევია თხოვნა და თავსა მართლულობს, რომ, თუ ასე მოვიქეცი, მოვიქეცი იმიტომ-რომ უმაწვილი შემებრალა და იმის სიკეთეზედ ზრუნვამ გამიტაცაო. ამის გამო დედოფალს მსახურისათვის სხვა ადგილი მიუცია, რადგან პირველს ვეღარ დაუბრუნებდა ისე, რომ წესი და რიგი,

---

— შენ ჯერ ცოტა გინახამ, ჯერ შენი ხო არცკია, დაიგულე შენათ, სიყვარული მაშინა ნახე!

— მართალია, ჯერ საქმე არ გათავებულა, მაგრამ გულმა-კი დანამდვილებით იცის, რო ჩემია და ჩემს იქით არსად წავა. ამ კვირია ჩვენები მიდიან სახლი სანახავათ; თუ ჩვენებმა თან არ მაიტანეს ბელგა, სწორზე თითონ მოვლენ და დამდებენ ხელს.

— რო არ მოჰხდეს, რას იზამდი?

— უი, უწინ დღე გამიქრეს, მაშინ ხო, საცა დიდი წყალია, იქ გადავარდი და დავიხრჩე თავი!

— აბა, მეც ემაგრე ეფიქრობდიაი, თუ სოსია არ მამხდარიყო.

— ოჰ, რა ძნელი ყოფილა სიყვარული!

— აკი გითხარ, სიყვარული მაშინა ნახე, როცა ხელს დაგდებს! როცა სალამ-სალამობით მოვა და უბითა და ჯიბით მოგიტანს, რასაც იშოვის და იპოვის, სიყვარული მაშინა ნახე! იმი მონატანიც ისე გეყვარება, როგორც ის. აი, ე ბეჭედი—უჩვენა თითი ამხანაგმა ქალმა—ჩემ თავს მირჩევნია. როგორც სოსია მიყვარს, იგრე ეს ბეჭედი. როცა პირველათ მამაჩემმა დაჰპატიჟა და მოვიდა, მაშინ მამიტანა და მას აქეთია არ მამიშორებია; მძინამ, თუ მღვიძამ, სუ ხელზე მაქვ გაკეთებული. ამას რო უყურებ, აგრე მგონია სოსიას უყურებმეთქი.

— ბელგაზე-კი არ იყო ბეჭედი?

— ბეჭედი და რა ბეჭედი! კარგისაგან კარგი! იმას როგორ გაიმეტებ გასაფუჭებლათ. სოსიამა თქვა, სამი მანათი მივეციო—ვერცხლისააო. ეს ბეჭედიც-კი არ არი უბრალო, ამაშიაც სამი აბაზი მიუცია, მაგრამ ის სუ სხვა არი.

— რა თქმა უნდა, რო კარგი იქნება, რა-კი ვერცხლისა ყოფილა!

— ბალდადი კიდე! ერთი ვეებერთელა საბნის ტოლა არი!

— რა კარგი ყოფილა გათხოვება. ნეტავი შენ, რო გული გულის ალაგასა გაქვ!

— როცა კი მოსულა სოსია, ცარიელი არ მოსულა—ხურჯინი გატენილი მოუტანია. მწარე ნიორი რა არი, მწარე ნიორიც რო მოიტანოს, ისიც-კი თაფლია. ძალიან ტკბილი ყოფილა ქრმის ლუკმა!

— ი, ღმერთი-კი გაუწყრათ და ქამი შაუდგათ ამ უპატრონო დღეებს, რო ჰიაყელავდებიან!

— ნუ გეშინიან, შენც მალე მაიხდი ოფლს. ერთი ეგარი, გათხოვებისას ვერაფერს გაიგებ. გათხოვება იმან დაიკვეხოს, ვინც აღდგომას გათხოვილი მიჰგებებია. რა ტკბილი იყო წლეულ ჩემთვინ აღდგომა, რო იცოდე! დიდ შაბათს, ჯერ შაბინდებული არ იყო, რო ჩემა პატარა მაზლმა მოგვაყენა კარებზე დატვირთული ცხენი. რა არ იყო ხურჯინში, როცა ამოვალაგეთ: ეს წითელი კვერცხიო, ეს ახალი ყველიო, [illegible]! რა უნდოდა თვალსა და გულს, რო შიგ არ იყო. ბატკანს კიდე თავი ქიაფრითა ჰქონდა შაღებილი. მაგრამ მე სუ ყველას თავი დავანებე და მივარდი შაკრულ ბოხჩას. გავხსენ, ქალო, და იგრე გაიხაროს შენმა გულმა, როგორც მე გავიხარე. ლამაზი, დახატული ბაშმაკები, კარგი ლამაზი კოტიტკა, კარგი ჩითის საკაბე და ერთიც კარგი თასაკრავი. ამას რო მოვრჩი-და, ჩემა მაზლმა მამიტანა და მამცა ხელში ჯოხზე მიკრული ვეებართელა კელაპტარი. სუ ყველანი-კი ჩემ კელაპტარს უყურებდნენ ევლოგიაზე. ჩემითანა კელაპტარი მარტო ბატონიანთ ქალებს ეჭირათ.

— ღმერთმა ნუ დაულიოს ჩემი ცოდო ჩვენებიანთ ბაბალეს! იმას რო არ ვეძაგებინე, ალებაშივე დამდებდნენ ხელს და შენ გეყურებინა მაშინ, ან როგორი მოსაკითხი მამივიდოდა და ან კელაპტარი საალდგომოთ. აგრე ამობენ, რო ილიასთანა თავ-მამწონე ბიჭი დედამიწის ზურგზე არ დაიბადებაო. სუ იმასა ცდილობსო, რო ყველაზე მეტი და გამარჯვებული იყოსო. აბა ის რას მაკადრებდა უბრალო კელაპტარს, თუ ძრიან კარგისა არ იქნებოდა. მაინც გადამიხდის სხვა ნაირათ. კინალამ-კი, იმ გასაშაველმა და შეილ-მკვდარმა,—ხელიც იმისკენ და პირიც—ხელიდამ არ გამაგდებინა ილიას! თავისი დაშხამული გომბიო უნდა ეეკიდნა ი ლომიერთ ბიჭისათვინ და დამიწყო მე ძაგება: ეს აგეთიო, ეს იგეთიაო, თარაქამა არიო. რა უთარაქამე, ნეტავი შამატყობინა! ვაქაცი რო შეეხეჩოს, პირს არ მაარიდებსო, იგეთი უნამუსოაო. ეგრე ვეძაგებინე მართლა-და იმ უნამუსოს, აგრემკ დაცარიელებულა ის ვაჟიშვილებიდამ და გაუშავდება იმას დაშხამული ქეთას გვირგვინი! თქვენ ეი—მიუბრუნდა დანარჩენ იქ მსხდომ გოგოებს—გაგაქრობთ და გაგაწყალებთ, თუ ვისმე ამბავი მიგიტანიათ!

— მართლა, ქა, და მეტის-მეტათ იცი, რო ვინც უნდა შამოგვხედეს, პირს არ მაარიდებ!

— რა არი ახლა, რო არ ვარიდებ? თავი რო არ ჩავლუნო და პირდაპირ შავხედო ვისმე, იმისთვინ უნამუსო გავხდები?

— უნამუსო-კი არ გახდები, მაგრამ ამობენ აშილიაო.

— რა აშილობა არი, ქა, თქვენი ჰირიმეთ, რო თავს არა ელუნამ, ვინც შამამხედება? თავის ჩალუნა მაშინა მფერობს, როცა თავზე გადამხედია რამე და სირცხვილით პირი მეწვება. სოფიო თუ თავ ჩალუნული დადის, იმისათვინ არ აბულრავებს თავიზე იმოდენა მილეთ ხალხს! აგე იმასა ჰფერობს თავის ჩალუნა და კიდეცა ჰლუნამს. აბა მე რა გადამხედია, რისათვინ უნდა ჩავლუნო თავი?

— მაშ ვინც ვაქაცს შაჰხედება და თავს ჩაჰლუნამს, ყველას გადაჰხედია რამე?

— ყველას-კი არ გადაჰხედია, მაგრამ ან უნდა გადაჰხედოდეს რამე და პირი ერცხვინება, ან უნდა ულამაზო იყოს და არ უნდა თავისი სისახიჩრე გააგებინოს ვისმე.

— ეგე, შენი პირითვე ჰთქვი! კიდეც მაგას ამობენ ყველანი, რო სილამაზის ხმა აქვ დავარდნილიო, თავი მოჰწონსო და იმისათვინ არავის არიდებს პირსაო.

— ჰო-და რათ დავარიდებ, როცა ვიცი, რო არავინ არას მერჩის და მეც გული წმინდა მაქვ!

ამ სიტყვებზედ მოასწრო ანასტასიამ, გაუსინჯა საქმე და, რა ნახა, რომ არავის არაფერი გაეკეთებინა, მოუგრიხა ხორცი.

მელანია

(შემდეგი იქნება)

ერთი და ერთი მიღებული, არ დარღვეული.

— „Vossische Zeitung“-ი შემდეგს ახირებულს ამბავს გარდმოგვცემს: ბრიუსელის არშიების გამყიდველს ერთმა პარიჟში მცხოვრებელმა ბელგიელმა შემოუკვეთა დიდ-ძალის არშიების გაკეთება. ეს არშიები მოვაჭრემ კუბოში ჩაალაგა და მკვდრის სახით გაგზავნა პარიჟში. შემკვეთელი დიდხანს ელოდდა თურმე და რომ ვერ მიიღო, თითონვე მივიდა საბაჟოში დაგვიანების მიზეზის შესატყობრად. ამიტომ შავებში შეიმოსა, ძაძა ჩაიცვა, ქართულად რომ ვსთქვათ, მწუხარე და ნაღვლიანი შეხედულობა მიიღო და წავიდა თავისის ნათესავის ცხედრის ჩასაბარებლად. ხოლო საბაჟოს მოხელენი აუხირდნენ თურმე, რომ კუბოს უეჭველად თავი უნდა ავხადოთო, თუმცა ვაჭარი არა ჰშვრებოდა, რომ ჩემს მკვდარს შეურაცხყოფას არ მიგაყენებინებთო. ბოლოს მოხელეებს თავისი არ დაუშლიათ, კუბოს თავი აუხდიათ და, რაღა თქმა უნდა, შიგ მვირფასი არშიები უპოვნიათ. ძაძაში შემოსილი და მგლოვიარე ვაჭარი იქვე დაუპატიმრებიათ.

— ბერლინიდგან იწერებიან, რომ მეფე მილანი იმიტომა სცდილობს ისე ძალიან განქორწილოს დედოფალს ნატალიას, რომ თავისი ძმის ქალიშვილი კატარჯი უყვარს და უნდა შეირთოს, თუმცა მართლ-მადიდებელი ეკკლესია ამისთან დაახლოვებულს ნათესავებს შეუღლებასა და შეერთებას უკრძალავსო. დედოფალს ნატალიას დიდი შეცდომა მოუვიდა, რომ არ მიჰმართა გერმანიაში სასამართლოს და არ წარუდგინა პირობის წერილი, რომელიც შედგენილია დედოფალსა და მეფე მილანს შორის 6 აპრილს 1887 წლისას. ამ პირობის წერილის ძალით სერბიის მემკვიდრე უნდა აღიზარდოს საზღვარ-გარეთ დედის მეთვალყურეობით და წელიწადში მხოლოდ ორი თვე გაატაროს სერბიაში. ამბობენ აგრეთვე იმასაც, რომ რადგან მილანს ბოლგარიასთან ბრძოლა ვერ გაუმარჯვდა, ამიტომ მეფობაზე უარს ამბობდა, მაგრამ ნატალია წინა აღუდგა ამ სურვილს ქმრისას და დააშლევინა. ამის დამამტკიცებელ საბუთად მოჰყავსთ თვით მილანის წერილები, დედოფალთან მიწერილი, რომელიც ამ ჟამად ნატალიასა აქვს თურმე შენახული.

# დეპეშა

11 ივლისი

**კრასნოე სელო.** დღეს იყო ალლუმი გერმანიის იმპერატორის სახელის ვიბორგის პოლკისა და ვარჯიში გვარდიის ცხენოსანთა ჯარისა. ხელმწიფე იმპერატორი მობრძანდა სამხედრო მეიდანზე გერმანიის იმპერატორთან ერთად თავ-გადახდილის ეტლითა; მასუკან მათნი უდიდებულესობანი შესხდნენ ცხენებზედ. დედოფალი იმპერატრიცა მობრძანდა დიდის მთავრის მეუღლეს ელისაბედ თეოდორეს ასულთან ერთად შარაბანითა, რომელსაც ება ოთხი შავი ცხენი. ალლუმზე მობრძანდნენ აგრეთვე დიდის მთავრის მეუღლე ელისაბედ მავრიკეს ასული დასთან ერთად და დიდის მთავრის მეუღლე მარიამ პავლეს ასული ცხენებითა. უმაღლეს გვამთა მობრძანების შემდეგ დაიწყო ვარჯიში ვიბორგის პოლკისა; ვარჯიშს შემდეგ პოლკმა გაიარა ცერემონიალის მარშით ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, ჰყავდა რა მოთავედ თავისი შეფი გერმანიის იმპერატორი. მას უკან, დიდის მთავრის ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძის კავალერიის გენერალ-ინსპექტორის ხელმძღვანელობით მოხდა საკავალერიო ვარჯიში მთლად კრასნოე სელოს ბანაკის კავალერიის 52 ესკადრონისა. ასარეკნელის ზარის შემდეგ კავალერია სრულად მიდიოდა ცერემონიალის მარშით იმპერატორთა წინაშე.

დიდ მთავარ ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძესთან გერმანიის იმპერატორს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა; მერმე დიდმა მთავარმა შეჰკრიბა რა ოფიცრები, განუცხადა, რომ გერმანიის იმპერატორი დიდად კმაყოფილი დარჩა ჩინებულის ვარჯიშისაო. ხელმწიფე იმპერატორი გერმანიის იმპერატორთან ერთად წაბრძანდა ალლუმიდამ თავ-გადახდილის ეტლითა ვიბორგის პოლკის ბანაკში, სადაც, გერმანიის იმპერატორმა, ნახა რა სამხედრო საავადმყოფო, დაათვალიერა საავადმყოფოს დარბაზები და გაშლილი კარვები ბანაკში, მასთანვე ემუსაიფა რუსულად ზოგიერთს ავადმყოფებს. დათვალიერების შემდეგ საუზმე ჰქონდა გამართული დიდ მთავარს ვლადიმერ ალექსანდრეს ძეს.

პეტერბურგის ბირჟა, 8 ივლისი

| | მიცემულია. | გამყიდვე-ლთ. | გაყიდუ-ლია. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 8 47 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 169 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | 1 33 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 269 |
| —მეორისა | — „ | — „ | 251 3/4 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

მკათათვე 31 დღით არის.

13 დღე ოთხშაბათი. კრება მთავარანგელოზის გაბრიელისა. კათოლ. მალგორჯატისა. სომეხ. მარხვაა. მუსულმ. მე-6 რიცხვი თვის ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—47, ჩადის 7—25. მთვარე 17 დღისაა.

14 დღე ხუთშაბათი. ღირსისა სტეფანესი და ონისიმესი. კათოლ. ეპისკ. ბონავენტურისა. სომეხ. წმ. ისააკისა და მესროფისა, დაბადების სომხურს ენაზედ მთარგმნელისა. მუსულ. მე-17 რიცხვი თვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა. — ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—48, ჩადის 7—24. მთვარე 18 დღისაა.

15 დღე პარასკევი. ივლიტესი. კათოლ. წმ. იმპ. ჰენრიხისა. სომეხ. მარხვაა. მუსულმ. მე-18 რიცხვი თვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისსა. — პოეტი მ. ლერმონტოვი, 25 წლისა, დუელში მოჰკლეს პიატიგორსკს, 1841 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—49, ჩადის 7—23. მთვარე 19 დღისაა.

16 დღე შაბათი. წამება ათინოგენისა და მისთა ათთა მოწაფეთა. კათოლ. წმ. ღვთის-მშობლისა კარმელითელისა. სომეხ. წმ. სომეხთა მეფისა ტრდატისა, იმის მეუღლის აშხენისა და დისა ხოსროვიდუხტისა. ნახატინაქი. მუსულმ. მე-19 რიცხვი თვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—50, ჩადის 7—22. მთვარე 20 დღისაა.

17 დღე კვირა. დიდად წამ. მარინესი და ღირსისა ლაზარესი. კათოლ. წმ. ალექსისა. სომეხ. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მუსულ. მე-20 რიცხვი თვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—51, ჩადის 7—21. მთვარე 21 დღისაა.

18 დღე ორშაბათი. ღირსისა იაკინთესი. კათოლ. წმ. სვიმონისა სომეხ. წმ. კალისტრატესი. მუსულ. მე-21 რიცხვი თვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—52, ჩადის 7—20. მთვარე 22 დღისაა.

19 დღე სამშაბათი. ღირსისა მაკრინესი. კათოლ. წმ. ვიკენტისა. სომეხ. წინასწარმეტყ. ზაქარიასი. მუსულ. მე-22 რიცხვი თვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—53, ჩადის 7—19. მთვარე 23 დღისაა.

20 დღე ოთხშაბათი. წმ. წინასწარმეტყველის ილიასი. კათოლ. წინ-მეტყ. ილიასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-23 რიცხვი თვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—54, ჩადის 7—18. მთვარე 24 დღისაა.

## გამოსადევი ცნანიბო

ნიხრი

1 ივლისიდამ 1 აგვისტომდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3 | » |
| „ 2 „ | 2 1/2 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 3 1/2 | „ |
| „ „ 3 „ | 3 | „ |
| ძვარის მამის პურის ლავაში | | „ |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | |
| მე-2 ხარისხისა | 4 | |
| მე-3 — | „ | „ |
| ძროხის ხორცი | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა | 8 | „ |
| ღორის ხორცი | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, ბანკის ქარვასლაში, № 101.


# განცხადებანი

ვემებ ფრანგულის ენის

გაკვეთილებს.

მსურველებს შეუძლიანთ ამბავი შეიტყონ ჩიმიშკიანის შენობაში, პირველის ნავოჩნის ქუჩის ბოლოს. პეტრე მირიანიშვილი

(10—6)

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში:

ისტორიული მოთხრობა

ქართველთა ცხოვრებიდამ

„მარინე“

გადმოკეთებული

ვალიკო გუნიას მიერ.

ფასი ექვსი შაური.

დაიბეჭდა და ისყიდება

გაზეთ „მეურნის“ გამოცემა

ვაზის ობი

(მილდიუ ანუ ვაზის პერონოსპორა),

შედგენილი

პ. ვიალას წიგნის ხელმძღვანელობით

ვ. ს—შვილის მიერ.

ფასი ორი შაური.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნების რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულ ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან | „ | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ | „ | 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, ზ. კვიცარიძისა | » | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. | 1 | 50 |
| II ნაწ. | 1 | 50 |
| ბუნების მოყვარენი, ს. მესტიაშვილისა | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა | „ | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. | 3 | „ |
| სამართლის წიგნი კასტანგ რუჩულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) | 3 | 50 |
| ვაზის ობი | „ | 10 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გუდიაშვილისა | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა | „ | 50 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან | „ | 5 |

თეთრი და შავი პილპილი

დაფქვილი

რ. კელერისა და ამხ. ფაბრიკაში, მოსკოვს.

ეხლა თითქმის ჩვეულებრივი მოვლენაა ვაჭრობაში, რომ დაფქვილს პილპილს ურევენ და ყალბადა ჰქმნიან. ეს სიყალბე ისე საზღვარს გადავიდა, რომ დაფქვილს პილპილს სახელი სრულიად გაუტყდა მხმარებლებში. აი ამიტომაც ფირმა **„რ. კელერი და ამხ., მოსკოვში“** ამით აცხადებს, რომ იმის ფაბრიკაში დაფქვილი პილპილი (და აგრეთვე სხვა სამზარეულოსათვის და სუფრისათვის საჭირო სანელებელნიც) აცილებულია ყოველსავე სიყალბესა და სხვა რამეთი შერეულობას.

ისყიდება პროვინციაში ყველა დიდ მოვაჭრეებთან; მოსკოვში—**რ. კელერთანა და ამხ.**, ნიკოლსკის ქუჩაზედ. 3—1 (ц.)

ყველა მზრუნველი მეოჯახე

დიდის სიამოვნებით ისარგებლებს **რ. კელერისა და ამხ.** წინადადებით და იყიდის მეტად უსაჭიროესსა და უსასარგებლოესს საშუალებას, რომელიც თითქმის ნახევარ ფასად ისყიდება, ისეთს ფასად, რომ არცა თქმულა და არც გაგონილა. ეს საშუალება არის

ქინაქინა

და ამასთან სახმარებლად ისე კარგად მომზადებულია, რომ ბრინჯის ფქვილის ცომშია გახვეული სხვა-და-სხვა წონა გოგირდ-მჟავე და მლაშემჟავე ქინაქინა, საფაბრიკო წესით გაკეთებული მოსკოვში, **რ. კელერის** ანდრონიევის ათთიაქში. ნამდვილი ფასი ამ ქინაქინასი პატარ-პატარა ყუთებში, რომელშიაც თორმეტ-თორმეტი ცალია, გახლავსთ შემდეგი:

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 10 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოველ | 25 კ., | 35 კ., | 40 კ., | 45 კ., | 50 კ., | 85 კ. | გრანი გოგირდ-მჟავე ქინაქინა |
| და ყოველ | 28 კ., | 40 კ., | 45 კ., | 50 კ., | 55 კ., | 95 კ. | გრანი მლაშე-მჟავე ქინაქინა. |

ქინაქინას ანდრონიევის ათთიაქის ბეჭედი აქვს დასმული.

ისყიდება პროვინციაში ყველა დიდ მოვაჭრეებთან; მოსკოვში—**რ. კელერთანა და ამხ.**, ნიკოლსკის ქუჩაზედ. 3—1 (ц.)


Доз. ценз. Тифлисъ, 12-го Іюля 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე